ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 24 სექტემბრის სხდომის

ოქმი №8

სხდომას ესწრებოდა: 38 წევრიდან – 20

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის დებულების განხილვა-დამტკიცება
   მომხს: თ. მახარაძე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
2. ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არსებულ საშტატო განრიგში ცვლილებების შესახებ
   მომხს: თ. მახარაძე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე
3. ცვლილებები ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ., პროფესორი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დებულების პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ მახარაძემ

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, თ. დოლბაიამ, მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ და სხვ.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების პროექტი ვიზირებისთვის გადაეცეს თსუ-ის იურიდიულ დეპარტმენტს და შემდგომში გაგრძელდეს განხილვები

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, არსებულ საშტატო განრიგში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ მახარაძემ. მან დამსწრეთ შესთავაზა არსებული ვაკანსიების ირგვლივ მსჯელობა და ძველ და ახალშექმნილ ფაკულტეტებს შორის მათი გადანაწილება.

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, თ. დოლბაიამ, მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ, თ. გაგოშიძემ და სხვ.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული ასოცირებული პროფესორის 2 და ასისტენტ პროფესორის 14 ვაკანსია განაწილდეს შემდეგნაირად: ასოცირებული პროფესორის 2 და ასისტენტ პროფესორის 7 ვაკანსია დარჩეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხოლო

ასისტენტ პროფესორის 7 ვაკანსია გადაეცეს ახლადშექმნილ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ., პროფესორმა დ. ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: თ. მახარაძემ, მ. გერსამიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებები. კერძოდ:

პროგრამული ცვლილებები:

I. **„სოციალური მუშაობის“ სადოქტორო პროგრამაზე** (დანართი 72) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:
ამოღებული იქნას პრაქტიკა სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კომპონენტებიდან (10 კრ), რადგან სადოქტორო პროგრამისთვის მიზანშეუწონელია მისი არსებობა.

II. „ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამაზე (დანართი 66) „დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის“ სამაგისტრო პროგრამიდან დაემატოს არჩევითი კურსი ***„საერთაშორისო მოლაპარაკებები“ (5კრ);***

III.„დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე“ (დანართი 65) განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

1.პროგრამის სწავლების ენა ჩამოყალიბდა ამგვარად: ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით), რადგან რამდენიმე არჩევითი კურსი იკითხება ინგლისურ ენაზე და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. ასევე, ინგლისურენოვანი კურსები აძლიერებს უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარსაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამისთვის.

2.სავალდებულო სტატუსი შეეცვალოს 2 სავალდებულო კურსს: „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“; „ქვეყანათმცოდნეობის სემინარი“.

დასაბუთება:

საგარეო პოლიტიკის ანალიზის თემების ნაწილი გადავიდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის და დიპლომატიის თეორიის და პრაქტიკის საგნებში სილაბუსების განახლების შედეგად. შესაბამისად, „საგარეო პოლიტიკის ანალიზის“ კურსი გახდა უფრო პრაქტიკული და საქართველოს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ თემებზე ორიენტირებული. ამასთან, სტუდენტებს პროგრამაში ბოლო წლებში დაემატა რამდენიმე სპეციფიური საგანი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით („აფრიკის პოლიტიკა“, „ლათინური ამერიკის პოლიტიკა“), რის გამოც აღარ არის იმის საჭიროება, რომ ეს კურსი არსებობდეს როგორც სავალდებულო.

„ქვეყანათმცოდნეობის სემინარი“ მიზნად ისახავდა საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის დღეს არსებული საგარეო პოლიტიკის მიმართულებების განხილვას. იმის გამო, რომ ეს თემები საკმაოდ ზოგადია და ასევე განიხილება საქართველოს დიპლომატიის ისტორიის არჩევით საგანში და „საერთაშორისო მოლაპარაკებების“ სავალდებულო საგანში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ საგანს შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი.

პროგრამას დაემატოს ასევე 2 არჩევითი კურსი:

- *"რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები"(5კრ);* („ევრაზიის და კავკასიის კვლევების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამიდან);
- *"პოსტსაბჭოთა პერიოდის კავკასიისკონფლიქტები" (5კრ);* („ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამიდან);

ამ ცვლილების მიზანი არის პროგრამის დივერსიფიცირება და მეტი აქცენტის გაკეთება კონფლიქტებზე და საჯარო პოლიტიკაზე, რაც აქამდე აკლდა პროგრამას.

ფაკულტეტის საბჭოს თამჯდომარე: თამარ მახარაძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თამარ დოლბაია

24 სექტემბერი, 2014

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. თამარ მახარაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

19. მარიამ გერსამია
20. დალი ოსეფაშვილი
21. მარი წერეთელი
22. მანანა შამილიშვილი
23. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

24. რევაზ გაჩეჩილაძე
25. თამარ დოლბაია
26. გიორგი გოგსაძე
27. იოსებ სალუქვაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

28. შალვა საბაური
29. გიორგი კაკაურიძე
30. თორნიკე ცინაძე
31. ბექა დადეშქელიანი
32. მაგდა გიბიშვილი
33. გიორგი როგავა
34. გვანცა გავაშელი
35. ნანუკი ალიბეგაშვილი
36. საბა კიკვიძე
37. ტარიელ ირემაძე